ტიპობრივი ტესტები პათოფიზიოლოგიაში
IV სემესტრის № 14 მოდული „გარემო და ჯანმრთელობა“

//// თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა:
/// შემაერთებელქსოვილოვანი დაავადებები
// ათეროსკლეროზი და მისი მნიშვნელოვანი გართულება - მიოკარდიუმის ინფარქტი
///შაქრიანი დიაბეტი
/// შარდგამომყოფი სისტემის დაავადებები

//// ალკოჰოლის ზემოქმედებამ ნაწლავის მიკროფლორაზე შესაძლოა გამოიწვიოს:
/// ბაქტერიებიდან ენდოტოქსინის გამოყოფის დათრგუნვა
/// მოცირკულირე მაკროფაგებიდან ციტოკინების გამოყოფის დაქვეითება
/// ნაწლავებში ბილირუბინის გარდაქმნის დარღვევა
// ბაქტერიებიდან ენდოტოქსინის გამოყოფის გაძლიერება

//// ტვინის დაჟეჟვის (contusio cerebri) კლინიკური სიმპტომები უკავშირდება:
/// ქალასშიდა წნევის გაზრდას
/// სახის ნერვის ცენტრის აგზნებას
// ტვინის დაზიანებული ნაწილის ლოკალიზაციას
/// სამწვერა ნერვის დაზიანებას

//// სითბური დარტყმის დროს ვითარდება:
/// გულის მუშაობის დათრგუნვა მასზე სიმპათიკური გავლენის გაძლიერების გამო
/// პოლიურია
// ოლიგურია
/// სისხლის სიბლანტის დაქვეითება

//// კინეტოზის პათოგენეზში მონაწილეობს:
// პროპრიო- და მექანორეცეპტორების აგზნება
/// ტაქიკარდია
///თერმორეგულაციის ცენტრის აგზნება
/// კუჭის სეკრეციის გაძლიერება